

თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთან

ურთიერთობები ნატო-სა და საქართველოს შორის ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაღრმავდა. ორ მხარეს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება თავდაპირველად დაწყებულ იქნა გასული საუკუნის 1990-იან წლებში. 2003 წელს მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებამ მძლავრი კატალიზატორის როლი შეასრულა ალიანსთან პარტნიორობის გააქტიურების საქმეში. დღევანდელ დღეს, საქართველო ნატო-ს წევრობის პრეტენდენტ ქვეყანას წარმოადგენს, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს და თავისი წვლილი შეაქვს ნატო-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციებში, და ასევე სხვადასხვა სფეროში ავითარებს თანამშრომლობას ნატო-ს წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნაზე. ამ მიზნის მიღწევისათვის, იგი ესწრაფვის განავითაროს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა სხვადასხვა პარტნიორ ქვეყანასა და ორგანიზაციასთან. თანამშრომლობა ნატო-სთან, აქტიური მონაწილეობის მიღება ნატო-ს პროგრამა „პარტნიორობა მშევიდობისათვის“ და ალიანსთან შესაძლო მიერთება წარმოადგენს ზემოაღნიშნული პოლიტიკის ცენტრალურ ელემენტს.

ნატო-ს მოკავშირეები მიესალმებიან საქართველოს სწრაფვას ალიანსში გაწევრიანების შესახებ და აქედან გამომდინარე, საქართველოს მისწრაფებების გათვალისწინებით, 2006 წელს დაიწყეს ამ ქვეყანასთან ინტერნიური დიალოგის განხორციელება. 2008 წელს გამართულ ბუქარესტის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. ეს გადაწყვეტილება ალიანსის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა დაადასტურეს 2009 წლის აპრილში სტრასბურგსა და კიოლნში და 2010 წლის ნოემბერში გამართული ლისაბონის სამიტების დროს.

როგორც დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული ალიანსი, ნატო



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესაუბრება ნატო-ს გენერალურ მდივანს ანდერს ფოგ რასმუსენს ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე ბერლინში, 2011 წლის 15 აპრილს. მოკავშირეები მიესალმებიან საქართველოს მაღალ მაჩვენებლებს სამხედრო რეფორმის სფეროში და მის ღირებულ წვლილს ნატო-ს ხელმძღვანელობით მოქმედ ოპერაციებში ავღანეთის ტერიტორიაზე.



- გვ. 2 პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილება
- გვ. 4 უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში
- გვ. 7 ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოები
- გვ. 8 თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები
- გვ. 16 Milestones

ნატო-ს სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში

2004 წელს ნატო-ს სტამბულის სამიტზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკოთხებში ნატო-ს სპეციალური წარმომადგენლის პოსტის შემოღების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ხელმძღვანელობაში გადაწყვეტა განვიტრიცების პარტნორობაში კავკასიის რეგიონთან, ასევე განვილა ცენტრალური აზიის რეგიონთან ურთიერთობების განვიტრება. ამ ორ რეგიონთან თანამშრომლობა ნატო-სათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული უნდა გამხდარიყო.

სპეციალური წარმომადგენლის როლი და ფუნქციები



განისაზღვრება რეგიონულ ლიდერებთან სამუშაო კონტაქტების დამყარებით, რამაც უნდა განვითაროს ორივე რეგიონის აღიასეთან თანამშრომლობა და საევენტურო შეუწყოს ნატო-ს მიერ უსაფრთხოების საკითხების განხილვას მასპინვე ინფორმაციის საშუალებებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად.

პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარების მიმართულებით, სპეციალური წარმომადგენლის აფისი გვთავაზობს კონსულტაციებს რეფორმების პროცესისან დაკავშრებით, როგორც საუკეთესო ფორმს, რომელიც უნდა გამოყენებული იქნება ნატო-ს პარტნიორობის ინსტრუმენტებით.

ის ავრცელებულ უსაფრთხოების სამსახურის უფრო უძველესი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ნარმომადგენლის კავშირულობის განვითარებისას, რომელიც მონაცემების დამუშავების მიზანის თავის საქმიანობის მხარს უჭერს ორი მექანიზრე ოფიციერ, თითო თითოეული რეგიონიდან. სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა თანამედროვე პერიოდში ეკუთვნის ჯეიმს ს აპატურას, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა რობერტ სიმინი - ნატო-ს პირველი სპეციალური წარმომადგენლი 2010 წლის დეკემბერში. აღნიშნულ პოსტზე დაინიშნა მდე, 2004-დან 2010 წლამდე ბატონ აპატურას ეკავა ნატო-ს სპიკერის თანამდებობა.

დიდ იმედებს ამყარებს ახალ მოსალოდნელ წევრებთან დაკავშირებით და ამ მიმართულებით მოუწოდებს საქართველოს ფართომასშტაბიანი რეფორმების გაგრძელებისაკენ, რათა მიღწეულ იქნეს საბოლოო მიზანი - ქვეყნის საბოლოო ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. მოკავშირები აქტიურად იძლევიან სხვადასხვა სახის რეკომენდაციებს, რათა საქართველოს მთავრობამ გააგრძელებს ყველა აუცილებელი რეფორმა, მათ შორის დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ასევე თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების მიმდინარეობს ნატო-საქართველოს კომისიის მეშვეობით, ეს კომისია შექმნილი იქნა 2008 წლის სექტემბერში ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების დაკვირვების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების პრაქტიკაში გატარება.

გატარებული რეფორმების მხარდაჭერის პარალელურად, თანამშრომლობის მნიშვნელოვან სფეროს წარმომადგენების ნატო-ს ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციებში საქართველოს მხარდაჭერა. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ავღანეთში წარმომადგენენ სიდიდით მეორე კონტინგენტს იმ ქვეყნების რიცხვიდან, რომლებიც არ არიან ნატო-ს წევრები და მონაწილეობას იღებენ ავღანეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო უსართხოების მხარდაჭერის ძალების (I) მიერ წარმოებულ ოპერაციებში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არ არსებობს ამ ძალების გამოყენებასთან დაკავშირებით არავითარი შეზღუდვა, რაც მნიშვნელოვნადაა შეფასებული საველე მეთაურების მიერ. გარდა ამისა, საქართველო აპირებს გაზარდოს საკუთარი წვლილის შეტანა 2012 წელს, სავარაუდოდ, იგი გახდება სამხედრო კონტინგენტის რაოდენობის მხრივ პირველი ნატო-ს არაწევრი ქვეყანა, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს სთავაზობს საკუთარ სამხედრო კონტინგენტს. მოკავშირები მიესალმებიან საქართველოს გაბედულ ძალისხმევას, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საქართველო ნატო-სა და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობას სხვა რიგ სფეროებშიც აგრძელებს, დაწყებული ტერორიზმთან და უსაფრთხოების ახალ გამოწვევებთან ბრძოლიდან და დამთავრებული ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რეაგირების სფეროში პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას.

პარტნიორობის მრავალმხრივი ცვლილებები

ნატო-სთან პარტნიორობა წარმომადგენების მნიშვნელოვან მრავალმხრივ განზომილებას. საქართველო 1992 წელს შეუერთდა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (NAC-საქსი), რაც შესაძლებელი გახდა დამოუკიდებლობის მოპოვებისა

და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად. ნაქსი შექმნილ იქნა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, როგორც ფორუმი დიალოგისათვის, რომლის მეშვეობითაც მოკავშირეებს შესაძლებლობა მიეცათ მეგობრობის ხელი გაეწვდინათ ყოფილი მოწინააღმდეგებისათვის - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ყოფილი წევრებისათვის და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის. 1997 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მაგივრად შექმნილ იქნა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (Euro-Atlantic Partnership Council-EAPC), რომლის მიზანი იყო ნდობის განმტკიცება, რომელიც გზას ხსნის უფრო ფართო და ოპერატიული პარტნიორობის მიმართულებით და რომელიც ასევე მოიცავს დასავლეთ ევროპელ პარტნიორებს.

როგორც 50 წევრისაგან შემდგარი ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ნევრი, საქართველო მუდმივად ანარმობებს კონსულტაციებს და ჩართულია მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის პროცესში და ახორციელებს პრაქტიკულ თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სპექტრის ფარგლებში, მათ შორის როგორც ნატო-ს ნევრ ქვეყნებთან, ასევე სხვა ევრო-ატლანტიკურ პარტნიორებთან. 2011 წლის აპრილში ბერლინში შემუშავებული ახალი პარტნიორობის პოლიტიკის შედეგად, ძირითად მიმართულებად განისაზღვრა ნატო-სთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება უფრო გახსნილი, მოქნილი და სტრატეგიულად ორიენტირებული დიალოგის ფარგლებში. პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში საქართველოს ასევე ექვება შესაძლებლობა უფრო ფართო ურთიერთობები განავითაროს ევროატლანტიკური სივრცის გარეთ არსებულ სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის კონსულტაციების გამართვას როგორც ნატო-ს პარტნიორებთან ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ ნაწილში და სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებთან, ასევე პარტნიორებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭო ასევე უზრუნველყოფს თანამშრომლობისათვის საერთო პოლიტიკურ ჩარჩოებს ნატო-სა და ევრო-ატლანტიკურ პარტნიორებს შორის, ასევე ორმხრივ ურთიერთობებს და პრაქტიკულ თანამშრომლობას ნატო-სა და ცალკეულ პარტნიორ სახელმწიფოებთან პროგრამის - „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში, რომელსაც საქართველო შეუერთდა მისი ამოქმედებისთანავე 1994 წელს.

ევრო-ატლანტიკური პარტნიორობა ეს არის მეტი, ვიდრე პრაქტიკული თანამშრომლობა – ეს გახლავთ ასევე ღირებულებებზე დამყარებული პარტნიორობა. როდესაც პარტნიორი ქვეყნები უერთდებიან პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, ისინი ხელს აწერენ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. ამ ნაბიჯის გადადგმით, პარტნიორები პასუხისმგებლობას იღებენ დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე; პატივი სცენ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს; კეთილსინდისიერად დაიცვან გაეროს წესდების და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ასევე ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპები; ვალდებულებათა შესრულება, რომელიც ეხება საერთა-



საქარველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩაგვაძე წელს აწერს ჩარჩო დოკუმენტს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამასთან საქართველოს მიერთების შესახებ. ამ დოკუმენტმა საფუძველი ჩაუყარა ორმხრივ თანამშრომლობას ნატო-სა და საქართველოს შორის და ასევე საფუძველი დაუდო მოწინავე ფასულობებსა და ვალდებულებებს.



© NATO

ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი იაპ დე ჰორაჟ სექცერი და მოქავშირეთა ელჩები ეწვივნენ გორის ბანაკს 2008 წლის 16 სექტემბერს, სადაც აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ თავისი დროებით თავშესაფარი პპოვა 2200-მდე იმულებით გადადგილებულმა პირმა.

შორისო განიარაღებას და შეიარაღებაზე კონტროლს. ვალდებულებათა შესრულების მთავარი პრინციპები ითვალისწინებს, რომ მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფისაგან, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ საზღვრებს და გადაწყვიტონ დავები მშვიდობიანი გზით.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს ტრანსპარენტულობისა და ნდობის ჩამოყალიბება, იმ საფრთხეების შემცირება, რომელიც ემუქრება მშვიდობას, და ურთიერთობათა განმტკიცება მოკავშირეებთან და სხვა პარტნიორებთან ევრო-ატლანტიკური სივრციდან.

უსაფრთხოების გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში

საქართველო მდებარეობს კავკასიის სამხრეთ ნაწილში და ესაზღვრება სომხეთს, აზერბაიჯანს და რუსეთს – ყველა ეს სამი სახელმწიფო ნატო-ს პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს, ასევე საქართველო ესაზღვრება თურქეთს-ნატო-ს წევრ სახელმწიფოს. ქვეყნის ტერიტორია — იშლება რა შავი ზღვისაკენ დასავლეთის მიმართულებით და კასპიის ზღვისაკენ აღმოსავლეთით, კავკასიის რეგიონი წარმოადგენს ხალხთა და კულტურათა გზაჯვარედინს, რომელსაც მრავალი საუკუნის განმავლობაში გააჩნდა და გააჩნია მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა.

ალიანსისათვის დიალოგის განვითარებისა და უსაფრთხოების განმტკიცების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რეგიონში არსებული მთავარი გამოწვევების – ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გარცელება, სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე და რეგიონული კონფლიქტები, აგრეთვე დარღვეული საზღვრები და ა.შ. წინააღმდეგ ბრძოლა. ზემოაღნიშნული პრობლემები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე. ნატო-ს პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში დგანან იმავე საფრთხეების წინაშე, რომელთა წინაშეც იმყოფებიან ნატო-ს წევრი ქვეყნები, ამიტომაც ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში, რისი ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ ისინი იმყოფებიან ნატო-სათვის არსებული პრობლემების გეოგრაფიულ არეალში.

ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც კავკასიის ქვეყნების, ასევე ნატო-ს მოკავშირ ქვეყნების პოლიტიკაზე. კავკასიის რეგიონს რამდენიმე სხვადასხვა ნავთობსადენი და გაზსადენი გადაკვეთს. აზერბაიჯანსა და კასპიის ზღვის რეგიონში კი ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი რეზერვებია განთავსებული. რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცება შედის როგორც

ენერგიის ექსპორტიორი, ასევე იმპორტიორი ქვეყნების ინტერესებში. ექს-პორტიორები ცდილობენ თავიანთი საექსპორტო პოტენციალის დივერსიფიცირებას და ენერგიის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების დადგენას. როგორც ექსპორტიორი, ასევე სატრანზიტო ქვეყნების ინტერესებშია თავინთი სამრეწველო პოტენციალის გაძლიერება და მილსადენი ინფრასტრუქტურის განვითარება.

სამხრეთ კავკასია წარმოადგენს რეგიონს, სადაც თანამედროვე პერიოდში სწრაფი და მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს. ამავე დროს, გარდამავალი პერიოდები ყოველთვის წარმოადგენენ არასტაბილურობის პოტენციურ წყაროს. მაგრამ, ამ პროცესის თანამშრომლობისა და პარტნიორობის მეშვეობით მხარდაჭერის გზით რეგიონში აღიანსის პარტნიორებთან ერთად, ნატო ესწრაფვის თავისი წვლილის შეტანას სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში, რაც თავის მხრივ ქმნის ხელსაყრელ წინაპირობას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით.

სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების სფეროში კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო - ნატო-ს პარტნიორები, ჩართული არიან განელილ კონფლიქტებში. მთიანი ყარაბალი, რომელიც შედის აზერბაიჯანის შემადგენლობაში, წარმოადგენს დავის სფეროს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. საქართველოს შემთხვევაში, ამ ქვეყნის შემადგენელი რეგიონები, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი უკვე დიდი ხანია წარმოადგენენ დაძაბულობის წყაროს, რის შედეგადაც ეს დაძაბულობა 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

ნატო არ ესწრაფვის პირდაპირ ჩართულობას ამ კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეში, მაგრამ მხარს უჭერს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევას, როგორებიცაა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას (ეუთო), ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული მანდატები საშუალო ფუნქციების შესრულებაზე. ამავე დროს, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა წარმოადგენს ნატო-ს ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას და დევს იმ ვალდებულებათა საფუძველში, რომლებიც აღებულ იქნა ნატო-ს ყველა ევრო-ატლანტიკური პარტნიორის მიერ, როდესაც ისინი შეუერთდნენ პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. ამ ღირებულებათა მხარდაჭერა, სულ უფრო აქტიურ როლს თამაშობს იმ რეგიონში, სადაც სხვადასხვა დროს დაძაბულობა იზრდება.

ქრიზისი საქართველოში

სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, რისი ძირითადი მიზეზები გახლდათ ჯერ სამხრეთ ოსეთში, ხოლო მოგვიანებით აფხაზეთის ტერიტორიაზე გან-



ნატო-საქართველოს კომისიის პირველი სხდომა გაიმართა თბილისში 2008 წლის 15 სექტემბერს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი ვაზითის დროს, ნატო-ს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს მიერ.



ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი თბილისში 2010 წლის 1 ოქტომბერს შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. მან კიდევ ერთხელ დადასტურა ნატო-ს მტკიცე ერთგულება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, და ასევე კვლავ დაადასტურა ის გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულ იქნა ნატო-ს სამიტზე ბუქარესტში.

ვითარებული მოვლენები, რამაც დიდი ტრაგედია გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. კონფლიქტი, რომელიც გაღრმავდა 7 აგვისტოს, ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ვიდრე ევროკავშირის შუამდგომლობით ხელი არ მოეწერა ცეცხლის შენივეტის შესახებ შეთანხმებას.

სხვადახვა მონაცემების მიხედვით, დაიღუპა დაახლოებით 850 ადამიანი, ხოლო 100 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი სახლი.

ნატო-ს მოკავშირებმა მხარეებს მოუწოდეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ალიანსის წევრებმა დაგმეს კონფლიქტის ზონაში საქართველოსა და რუსეთს შორის ძალის გამოყენება, რომელიც არ შეესაბამება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის ძირითად პრიციპს, რომლის შესახებ ვალდებულებაც აღებულ იქნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში, ასევე სხვა საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე. განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქმულ იქნა რუსეთის მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების თაობაზე, რომელიც არ შეესაბამებოდა რუსეთის სამშვიდობო როლს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ალიანსმა მოუწოდა რუსეთს, რათა ამ უკანასკნელს გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და დათანხმებოდა ევროკავშირის მიერ შეთავაზებულ პირობებს ცეცხლის შესახებ.

მოკავშირებმა მიაღწიეს შეთანხმებას რიგ სფეროებში დახმარება გაეწიათ საქართველოსათვის, ამ უკანასკნელის თხოვნის საფუძველზე. მათ შორის იმ ზარალის შეფასება, რომელიც მიყენებულ იქნა სამოქალაქო ინფრასტრუქტურისათვის. თხოვნა ასევე ითვალისწინებდა რეფორმების ჩატარებას თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში, ანტისაკერო სისტემის მოდერნიზაციასა და ასევე კონსულტაციების განვას კიბერუსაფრთხოების სფეროში.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ ბუქარესტის სამიტზე რამდენიმე თვის წინ გაკეთებული განცხადების გათვალისწინების საფუძველზე, 2008 წლის სექტემბერში შექმნილ იქნა ნატო-საქართველოს კომისია, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია გახლდათ საქართველოში მიმდინარე პროცესების დაკვირვება. ახლადშექმნილი სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი გახლდათ საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ ნატო-ს მხრიდან საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერა.

საქართველოში არსებულმა კრიზისმა დიდი გავლენა მოახდინა ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე. მთელი წლის განმავლობაში შეჩერებულ იქნა ნატო-

რუსეთის საბჭოს სხდომები და პრაქტიკული თანამშრომლობა. 2011 წლის მაისში ჩიკაგოს უნივერსიტეტში თავისი მიმართვის დროს, ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფონ რასმუსენმა აღიარა, რომ ნატო და რუსეთი ყოველთვის არ უსწორებენ ერთმანეთს თვალს და კვლავ არსებობს პრინციპიალური განსხვავება ისეთ საკითხებში, როგორიცაა საქართველო. „ჩვენ არ უნდა შევიკავოთ თავი ჩვენს შორის არსებული უთანხმოებების განხილვისაგან, მაგრამ ჩვენ ამავე დროს უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობა განვავითაროთ ჩვენი პარტნიორბა,“ აღიმნა მან.

ნატო აგრძელებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში, და ასევე მოუწოდებს რუსეთს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარების თაობაზე. აღიანსის გენერალური მდივანი გამოვიდა წინადადებებით და აღნიშნა, რომ ნატო არ აღიარებს არჩევნებს, რომლებიც გაიმართა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, და ასეთი არჩევნების ჩატარება არ უწყობს ხელს საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან და გრძელვადიან დარეგულირებას.

ამავე დროს, მოკავშირეები მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადებას, რომლის მიზანია კონფლიქტის დასრულების შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

ნატო-ს წევრები მხარს უჭერენ საქართველოს დღევანდელ სტრატელიტა შორის გიას ქვეყნის ორ სეპარატისტულ რეგიონთან მიმართებაში, რომელიც ითვალისწინებს კონსტრუქციულ გზას წინ ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისა და ნდობის აღდგენის მიზნით ხალხთა შორის პიროვნული კონტაქტების დამყარებას.

ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოები

ნატო-საქართველოს კომისია (NGC) უზრუნველყოფს კონსულტაციებს მოკავშირეებსა და საქართველოს შორის საქართველოს მიერ რეფორმების გატარების პროცესში. ნატო-ს მხრიდან ამ პროცესის მხარდაჭერა და სხვადასხვა ფართო საკითხზე მსჯელობა ერთობლივ ინტერესს წარმოადგენს. აღიანსის ყველა წევრი სახელმწიფო და საქართველო ერთობლივად არიან წარმოდგენილი აღნიშნულ კომისიაში, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად იმართება სხდომები ელჩებისა და სამხედრო წარმომადგენლების დონეზე, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრებისა და თავდაცვის მინისტრების, შტაბების უფროსებისა და უმაღლეს დონეზე. ყველა ეს შეხვედრა ტარდება ნატო-სა და საქართველოს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

კომისიაში მუშაობა მიმდინარეობს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის



© NATO

(ზარცხნილაა მარჯვნივ) ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფონ რასმუსენი საქართველოს ეკონომიკული და უკროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან ერთად ხსნის ნატო-ს სამეცავშირეო მფლისის უკან დგას ნატო-ს სამეცავშირეო მფლისის ხელმძღვანელი ზბიგნევ რიბაცი



(პირდაპირ და მარცხნიდან მარჯვნისაკენ) საქართველოს თავდაცვის გაერთიანებული შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი დევი ჭანკოტაძე, ესაუბრება ნატო-ს სამხედრო კომიტეტის წარმომადგენელს, ადმირალ ჯანპაოლო დი პაიოლას, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე 2011 წლის 4 მაისს.

(ANP) ფარგლებში. პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს და გეგმები ასევე ეფუძნება მოკავშირეთა მხრიდან შემუშავებულ რეკომენდაციებს. მოიცავს ხუთ ძირითად სფეროს: პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, თავდაცვითი და სამხედრო საკითხები, რესურსების საკითხები, უსაფრთხოების საკითხები და სამართლებრივი საკითხები. პირველი ეროვნული პროგრამა საქართველოს მიერ წარმოდგენილ იქნა 2009 წლის გაზაფხულზე და მან შეცვალა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც ნატო-სა და საქართველოს შორის ურთიერთობა ვითარდებოდა 2004 წლიდან.

კომისიის საქმიანობა რეფორმების მხარდაჭერის, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში მიმდინარე ტრანსფორმაციის გზაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით უმნიშვნელობაზე ანალიზისა და დაგეგმვის პროცესი (PARP). PARP უზრუნველყოფს ჩარჩოს პარტნიორობისათვის რათა განავითაროს ეფექტური, მდგრადი და მიღწევადი შეიარაღებული ძალების შექმნა, რომელიც ხელს უწყობს უფრო ღრმა და საფუძვლიანი სამხედრო რეფორმის მხარდაჭერას. დაგეგმვის ძირითად მიზნებთან დაკავშირებით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და განიხილება მიღწეული პროგრესი თითოეული წლის განმავლობაში.

ნატო-სთან თანამშრომლობა სცილდება რეფორმების მხარდაჭერის ფარგლებს. ნატო-საქართველოს კომისია განიხილავს ერთობლივ ღონისძიებებს, რომელიც შემუშავებულ იქნა საქართველოს მიერ პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მოღვაწეობის ფარგლებში და ასევე სამხედრო პირებს შორის პარტნიორობის პერსპექტივებს. პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საქმიანობის ფართო წუსხას გვთავაზობს, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ შეიმუშავონ სახელმწიფოს შესაბამისი საჭიროებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით თანამშრომლობის გეგმები და პრიორიტეტები. ასევე გათვალისწინებულია ცალკეული ქვეყნების შესაძლებლობები და პოტენციალი. შეთავაზებული თანამშრომლობა მოიცავს ნატო-ს საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს, მათ შორის, სამუშაოებს და კავშირებულს თავდაცვასთან, სამხედრო რეფორმებს, თავდაცვისა და დაგეგმვის პოლიტიკას, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებს, განათლებასა და კადრების მომზადებას, სამხედრო თანამშრომლობასა და წვრთნებს, საგანგებო-სამოქალაქო დაგეგმვას და სტიქიურ უბედურებებზე რეაგირებას, ასევე თანამშრომლობას მეცნიერებისა და გარემოს დაცვის საკითხებში.

ნატო-საქართველოს შორის ეფექტური სამხედრო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ურთიერთობათა განვითარების მიმართულებით გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2010 წლის აგვისტოში. საქართველოსთან პირველი სამხედრო კომიტეტის მიერ სამუშაო გეგმა 2011 წელს იქნა დანერგილი. მასში დეტალურად იქნა აღნერილი ერთობლივად შეთანხმებული თანამშრომლობისა და ამოცანების ძირითადი მიმართულებები. ასევე გან-

ისაზღვრა პრიორიტეტი რესურსების განაწილების მიზნით. კომპლექსური ღონისძიებები მიმართულია ურთიერთქმედებების ხელშეწყობაზე და მათი მიზანია დაეხმაროს საქართველოს ნატო-ს ხელმძღვანელობით ჩატარებულ ოპერაციებში თავისი წვლილის შეტანაში და ასევე ხელი შეუწყოს ქვეყანას თავდაცვის რეფორმების გატარებასა და ყოველწლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მიზნების მიღწევაში.

კონსულტაციებისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, საქართველომ 1998 წელს დაარსა მუდმივი დიპლომატიური მისია ნატო-ს შტაბ-ბინაში ბრიუსელში, ბელგია. ქვეყანა ასევე წარმოდგენილია ოპერაციათა სამოქავშირეო სარდლობაში, რომელიც მდებარეობს ნატო-ს ევროპაში უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბში (SHAPE) ქ. მონსში, ბელგია.

2010 წლის ოქტომბერში, ნატო-ს გენერალური მდივნის მიერ ოფიციალურად იქნა გახსნილი ნატო-ს სამეცავშირეო ოფისი. იგი ასევე წარმოადგენს ფასეულ ინსტრუმენტს საქართველოსათვის დახმარების აღმოჩენის, საქართველოში რეფორმების პროცესის მხარდაჭერისა და ორმხრივი თანამშრომლობის მომავალი განვითარების გზაზე.

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები

ნატო-საქართველოს ურთიერთობების პირველივე დღეებიდანვე პარტნიორობისა და თანამშრომლობის გზაზე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ტრანსპარენტულობისა და ნდობის განმტკიცებას. ამ წლების განმავლობაში თანამშრომლობა გაღრმავდა და გაფართოვდა. დღევანდელ დღეს ძირითად პრიორიტეტებს მიეკუთვნება საქართველოში ფართომასშტაბიანი რეფორმების მხარდაჭერა, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რათა რეალიზებულ იქნეს ევროატლანტიკური ინტეგრაციასთან დაკავშირებული ძირითადი მიზნები; თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში დახმარებისა და კონსულტაციების გათვალისწინებით, აუცილებლობას წარმოადგენს ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაზრდა, რათა კრიზისული სიტუაციების დროს ოპერაციების განსახორციელებლად მოხდეს მოკავშირებთან და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთობლივი მუშაობის წარმოება მშვიდობის მხარდაჭერისა და ასევე საერთო პრობლემების გადაწყვეტის მიზნით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება. თანამშრომლობის სხვა მნიშვნელოვან სფეროებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებების დროს შესაბამისი ზომების მიღებისადმი მომზადება, მეცნიერება და გარემოს დაცვა, საზოგადოების ინფორმირება.

ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, პოლიტიკური დიალოგი ფოკუსირებულია დემოკრატიული, ინსტიტუციონალური და თავდაცვითი რეფორმების განხორციელებაზე. ყოველწლიური ეროვნული პროგრამა

აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისაგან გაწმენდა

ათეულობით წლების განმავლობაში რეგიონში წარმოებული საბრძოლო მიქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რეგიონში დარჩია ბევრი ფეთქებადსაშირი ნაჩრენები. პრობლემა განსაკუთრებით გაღრმავდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ. აუფეთქებელი საბრძოლო მსალებისა და ჭურვების არსებობის სხვა წყაროს წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზებზე და მათ გარშემო ტერიტორიის დაბინძურება. ასეთი საშიში ნივთების ადგილობრივი მოსახლეების სიცოცხლისათვის (დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით 400 ადამიანი იყო მიმმდევ დაშავებული), აგრეთვე ის წარმოადგენს უფრო საშიშ და ბოროტ საფრთხეს, რადგანაცამ ნივთიერებს ძალზებრივი და იყენებულ ტერორისტები და კრიმინალები, რათა ამ ნივთიერებებისაგან შექმნან თვითნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერებები.

ნატო-ს მხარდაჭერის პასუხად, მიზნობრივი პროექტის ფონდმა, საერთო პიუჯეტით 287 ათასი ევრო, პროექტის განხორციელება 2010 წლის ოქტომბერში დაიწყო. მიზანი გახლდათ დახმარება განვითარება საქართველოს მისი პოტენციალის განმტკიცებაში ჭურვების, ყუმბარების და სხვა აუფეთქებელი საბრძოლო მსალების უტილიზაციის მიმართულებით. საქართველოს სამეცნიერო ბრიგადიდან 60-ზე მეტმა ინჟინერმა გაიარა სპეციალური მომზადება – საბაზისო განაღმვა, ფეთქებადსაშიში სანების უვნებელყოფა, ტექნიკური დათვალიერება. ითვისა სწავლების მეთოდები, ინფორმაციის მართვა და სხვა. რამდენიმე სწავლება ჩატარდა აზერბაიჯანის ეროვნულ განმაღლველ სააგენტოში. რეპარატაციის სპეციალური ცენტრი მეშვეობით გორის საავადმყოფოში სამხედროებს უტარდებათ სწავლება სპეციალური აღჭურვილობით, რათა დახმარება გაეწიოს მსხვერპლს, რომლებმაც ჭრილობა მიღეს აფეთქებების შედეგად.

სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა

2009 წლის მაისში დაწყებული პროფესიული განვითარების ექსპერტთან პროგრამის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო მმართველობის გაძლიერება და ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში. პოტენციალის ასეთ ზრდას გამოჩნია დიდი მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის და იგი აუმჯობესებს მთავრობის შესაძლებლობას დაზრდოს და მართოს სისტემური ცელიერების ამ დაწესებულებებში.

პროგრამის ფარგლებში სწავლების ოთხი ტიპი არის წარმოდგენილი: მსმენელს შესაძლებლობა ეძლევა მიღლოს განათლება საზღვარგარეთ (პროგრამაში მონაბილე ქვეყნების რიცხვიდან), მაგალითად, ენობრივი კურსები, სტაუირება, დაწყებული ერთი კვირიდან რამდენიმე თვეს ჩათვლით, ან ნატო-ს შტაბ-ბინაში ბრუსელში, ან ქვეყნების დედაქალაქებში, რომელთაც შეაქვთ საკუთარი წვლილი აღნიშნულ პროგრამაში; გუნდების მობილური მომზადება, რომელიც გვთავაზობს კურსებს კონკრეტულ ფუნქციონალურ სფეროებში და ასევე ლოკალურად ორგანიზებულ კურსებს, რომელთა მიზანია სწავლების განხორციელება უფრო ზოგად სფეროებში. მიზანდების ეს მიმართულებები განსაზღვრულ იქნა როგორც საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტული სფერო და დაკაუშირებულია თავდაცვითი კომპლექსის განმტკიცებაზე. ასევე იგი მოიცავს იმ მიზნებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამაში.

2011 წლის II კვარტის ფარგლებში, ტრეინინგის მისა ვრცელდება თავდაცვის სამინისტროს ფარგლებს გარეთ და თავის თავში მოიცავს პერსონალს სახელმწიფო მინისტრისაპარატიდან ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ეროვნული უშმშროების საბჭოდან, თავდაცვის ეროვნული აკადემიიდან, შნაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და ასევე სხვა დაწესებულებებს.

განსაზღვრავს მოწინავე სფეროებს, რომელშიც საქართველო საჭიროებს თავისი ძალისხმევის კონცენტრაციას და რეფორმების დაჩქარებას. ნატო-საქართველოს შორის, თანამშრომლობა შესაძლოა იყოს უფრო მიზანმიმართული, რათა მხარი შეეწყოს ორ მხარეს შორის ურთიერთობის გზაზე მეტი პროგრესს მიღწევას. ნატო-ს ოფიციალური წარმომადგენლები შესაბამისი საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტულ რეკომენდაციებს უზრუნველყოფენ.

ნატო-ში ახალი წევრების მოლოდინი თავის თავში მოიცავს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას, დაფუძნებულს საბაზრო ეკონომიკაზე, უმცირესობებისადმი სამართლიან მოპყრობას, დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საკითხის ერთგულებას, ქვეყნის შესაძლებლობასა და მზადყოფნას, რათა მან თავისი სამხედრო წვლილი შეიტანოს ალიანსთან და სხვა პარტნიორებთან წევრებთან და ძალებთან შესაძლებლობათა თანხვედრის უზრუნველსაყოფად, ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია დემოკრატიული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებისადმი და ინსტიტუციური სტრუქტურებისადმი ერთგულება.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორი წარმოადგენს იმ სფეროს, სადაც ნატო-სა და ცალკეულ მოკავშირებს მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნიათ. ნატო-ში ახლადგანევრიანებულმა წევრებმა თვითონ გაიარეს დემოკრატიისაკენ მიმავალი გარდამავალი პერიოდი, და მათ ასევე შეუძლიათ თავისი გამოცდილების გაზიარება სხვა ქვეყნებისათვის ალიანსში განევრიანების გზაზე. მოკავშირეთა მხრიდან ასეთი რეფორმების მხარდაჭერა არ გახლავთ „ნატო-ს მოდელის“ თავზე მოხვევა, არამედ მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს, რათა ამ უკანასკნელმა გადახედოს თავის შესაძლებლობებს და განსაზღვროს, თუ რომელი გზაა მისთვის უფრო მისაღები სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით.

1999 წლიდან საქართველოს მონაწილეობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამასა და დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში (PARP), ქვეყანას დაეხმარა განევითარებიანა თავისი ძალები, ემუშავა ნატო-სთან და ასევე განესაზღვრა ის გეგმიური მიზნები, რომლებიც გახლავთ წამყვანი რეფორმების მიზნების უზრუნველსაყოფად რამდენიმე სხვადასხვა სეფროში. ერთხელ ორი წლის განმავლობაში, და გახსნილია ყველა პარტნიორისათვის ნებაყოფლობით საფუძველზე, მაგრამ იგი საჭიროებს დაგეგმვის პროცესში ნებისმიერი იმ ქვეყნის მონაწილეობას, რომელიც ემზადება ალიანსში შესაძლო განევრიანებისათვის. და ეხმარება გამოავლინოს, შეაფასოს და განავითაროს ის ძალები და შესაძლებლობები, რომლებიც შესაძლოა იყოს მიღწევადი ნატო-სათვის, ერთობლივი შესწავლის, სწავლებისა და ოპერაციების გზაზე. ის ასევე გვევლინება ძირითადი მექანიზმის რაგში თავდაცვისა და სამხედრო რეფორმების სფეროში პროგრესის შეფასების გზაზე.

PARP-ის მეშვეობით, ნატო-ს თანადგომა საქართველოს დაეხმარა თავისი ძალების ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად შექმნასა და მოკავშირეთა ძალებთან თავსებადობის უზრუნველყოფაში. დაგეგმვის პროცესის ფარგლებში საქართველოში სამხედრო რეფორმის პრიორიტეტებმა ხელი შეუწყეს თავდაცვის სამინისტროში ფინანსური მმართველობის გაუმჯობესებას, ასევე შეიარაღებული ძალების სადაზვერვო სტრუქტურების რეფორმირებას. ასევე გაკეთდა განცხადება, რომ უნდა განხორციელებულიყო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა, რომელიც შესაბამის ნდობას იმსახურებდა.

საქართველომ, ისევე როგორც სხვა პარტნიორმა ქვეყნებმა, გადაწყვიტა გაეფართოვებინა PARP-ის სფერო, რათა რეფორმები განხორციელებულ ყოფილყო თავდაცვითი სექტორის ფარგლებს გარეთაც, რომელიც მოიცავდა უსაფრთხოების სექტორში არსებულ სხვა მიმართულებებსაც. ეს ნიშნავს, რომ იმ მიზნების პარაღელურად, რომელიც განსაზღვრულ იქნა „პარპ“-ის ფარგლებში, ასევე უნდა გათვალისწინებულ ყოფილყო სხვა პრიორიტეტებიც, მათ შორის სასაზღვრო და უსაფრთხოების სამსახურის განვთარება, მათ შორის სანაპირო დაცვა, შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის გაძლიერება ძალოვან და თავდაცვით სტრუქტურებზე, და ასევე ამ სტრუქტურების შესაძლებლობათა გაფართოება, რადგანაც მათ პრინციპული მნიშვნელობა გააჩნიათ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისათვის. საქართველოს მონაწილეობა თავდაცვითი ინსტიტუტების მშენებლობის სამოქმედო გეგმაში (PAP-DIB) აძლიერებს ამ ძალისხმევას. მაგალითად, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ეფექტური სასამართლო ზედამხედველობის ეფექტურად წარმართვა და ასევე შესაბამისი გუნდის შექმნა თავდაცვის და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრისათვის.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დახმარებაზე თხოვნის საპასუხოდ, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა 2009 წლის მაისში იქნა შემუშავებული, რათა მის ფარგლებში ხელი შეწყობოდა იმ სამოქალაქო პერსონალის პროფესიული თვისებების განვითარებას, რომლებიც წარმოდგენილ იყვნენ შესაბამის სამინისტროებსა და უსაფრთხოების სხვა ინსტიტუტებში.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში რეფორმების განხორციელების გზაზე კიდევ ერთ პრიორიტეტად განიხილება ნატო-ს მიერ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში დემილიტარიზაციის პროექტების მხარდაჭერა, ამისათვის ამოქმედებულ იქნა მიზნობრივი ფონდის მექანიზმი, რომელიც ნებას რთავს ცალკეულ მოკავშირებსა და პარტნიორ ქვეყნებს, რათა მათ ფინანსური დახმარება შესთავაზონ ნებაყოფლობით საფუძველზე. მიზნობრივი ფონდის ორმა პროექტმა დიდი როლი ითამაშა ის-



ქართველი ჯარისკაცი თვალყურს ადვენის ავღანეთის ეროვნული არმიის ჯარისკაცს ყანდაგარში, ავღანეთი, კემპ-ჰეროეში ბაზაზე შეკრების დროს 2001 წლის ივლისი



ქართველი სამხედრო ექიმი (მარცხნივ) მუშაობს უკრაინელ კოლეგასთან ერთად ასალგაზრდა ავღანელი ბიჭის მკურნალობის მიზნით, რომელმაც მიიღო დამწერობა და გადის მკურნალობას სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარანის პროვინციაში, ავღანეთის მრავალეროვნული აღდგენითი ძალების ფარგლებში



© სამხედრო ფოტო, ძალები იმსოდენისათვის (KFOR) ქრისტიან

ქართველი ჯარისკაცი „ძალები კოსოვოსათვის“ შემადგენლობის ფარგლებში დგას საგუშავოზე კოსოვოში, პრიზრენის ბანბაკის აეროდრომზე

ეთი პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც დაკავშირებული იყო მოძველებული იარაღისა და ტყვია-ნამლის მარაგებთან, რასაც მოყვა 2006 წელს 530 რაკეტის უსაფრთხო განადგურება, ასევე 1080 ც-8 რაკეტების, 5724 და 1976 „ალაზან-კრისტალის“ რაკეტების 2009 წელს განადგურება. მიზნობრივი ფონდის მესამე პროექტი საქართველოს პოტენციალის ამაღლების მიზნით 2010 წლის ოქტომბერში იქნა გაშვებული. მისი მიზანი გახლდათ მომხდარიყო ნაღმებისა და სხვა ჯერ კიდევ აუფეთქებელი საბრძოლო მასალების უვნებელყოფა, და ასევე აფეთქების შედეგად გამოწვეული ზარალის აღმოფხვრა.

უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა

მშვიდობის მხარდამჭერ ოპერაციებში პარტნიორობა და ახალ გამოწვევებთან ბრძოლა საქართველოსათვის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

ორმხრივი თანამშრომლობა და ერთობლივი სწავლებები და წვრთნები ხელს უწყობს საქართველოს პოტენციალის გაძლიერებას, რაც ხელს უწყობს ნატო-ს ძალებთან ერთად მუშაობის გააქტიურებას. ინტერესთა და ოპერატიული თანხვედრობის განვითარება სტანდარტული პროცედურების თვალთახედვიდან საფუძვლიან პროცესს წარმოადგენს. „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში ასეთი მომზადების შედეგად, საქართველოს სამხედრო პერსონალი ნატო-ს ხელმძღვანელობით სხვადასხვა ოპერაციების მხარდასაჭერად იქნა ჩართული.

საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (IS) შემადგენლობაში ავღანეთში, საქართველო ალიანსს ამ ეტაპზე სთავაზობს სრულ ქვეით ბატტალიონს ამერიკულ კონტინგენტში სამხედრო სამსახურის გასავლელად, მეორე ქვეითი ბატალიონი თანამშრომლობს ფრანგულ კონტინგენტთან ერთად ქაბულში, ხოლო სამედიცინო პერსონალი ეხმარება „ისაფ“-ის მისისი შემადგენლობაში შემავალ ლიტველ კოლეგებს, რომლებიც პროვინციების აღდგენისა და ოფიცერთა დახმარების მიზნით სხვადასხვა შტაბებში არიან წარმოდგენილნი. 2010 წლის ნოემბერში გამართულ ნატო-ს ლისაბონის სამიტზე საქართველომ განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ საწვრთნელი მისის შემადგენლობაში დამატებითი წვლილის შეტანის თაობაზე. ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფება დაახლოებით 950-მდე სამხედრო მოსამსახურე, საქართველო ამ ეტაპზე რაოდენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ნატო-ს მეორე პარტნიორს, რომელსაც თავისი წვლილი შეტანის თაობაზე. ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფება დაახლოებით 950-მდე სამხედრო მოსამსახურე, საქართველო ამ ეტაპზე რაოდენობრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ნატო-ს მეორე პარტნიორს, რომელსაც თავისი წვლილი შეტანის თაობაზე. ისაფ-ის შემადგენლობაში. დამატებითი კონტინგენტის ზრდა მოსალოდნელია 2012 წლისათვის და ამ შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია გახდეს ყველაზე ნატო-ს არანევრ ქვეყნებს შორის ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორი. ქართველი სამხედროები ნატო-ს ძალებთან ერთად ასევე მუშაობდნენ კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების დროს 1999-2008 წლებში, რითაც საქართველო დახმარებას უწევდა „ძალები კოსოვოსათვის“ (KFOR)

შემადგენლობას. ქართველი სამხედროები მსახურობდნენ გერმანული ბრიგადის შემადგენლობაში, ასევე ქვეითთა ოცეული მსახურობდა თურქული სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში.

ნატო-ს ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ ნატო-ს ხელმძღვანელობის ეგიდით მიმდინარე ოპერაციებში მონაწილე ქვეყნებმა, რომლებიც ალიანსს თავიანთ სამხედრო კონტინგენტს სთავაზობენ, თავიანთი საქმიანობის სპეციფიკაზე გამომდინარე მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ კონსულტაციებში და ოპერატიულ დაგეგმარებისა და სარდლობის დონეზე არსებული შეთანხმებების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში არიან ჩართული. როგორც ნატო-ს სარდლობის ქვეშ საკუთარი კონტინგენტის წარმომდგენი ქვეყანა, საქართველო რეგულარულად მონაწილეობს ასეთ შეხვედრებში, რომლებიც ნატო-ს წევრ და ნატო-ს პარტნიორებს შორის უმაღლეს დონეზე იმართება. ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნები თავიანთ სამხედრო კონტინგენტს, მის პერსონალს წარადგენენ ნატო-ს ფარგლებში და ანარმეობენ ობიექტების დაგეგმვას საერთაშორისო საოპრდინაციო ცენტრის მეშვეობით. უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა არ შემოისაზღვრება მხოლოდ სხვადასხვა ამინისტრაციისათვის სამხედრო კონტინგენტის შეთავაზებით. ის ასევე მოიცავს ტერორიზმთან ბრძოლას, ოპერაციაში „აქტიური ძალისხმევა“ მონაწილეობას, ნატო-ს მიერ ხმელთაშუაზღვაში საზღვაო სივრცის მეთვალყურეობას, სადაზვერვო ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და სხვ. პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში თანამშრომლობა ტერორიზმის წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ტერორისტული აქტი იქნა განხორციელებული, მოიცავს სადაზვევო მონაცემების გაცვლას და ასევე სწავლასა და სწავლებებს კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაზრდისა და საზღვრების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. იგი ასევე მოიცავს მზადყოფნას იმ საპასუხო ქმედებისათვის, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს ტერორისტული აქტების საპასუხოდ.

საქართველო ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-სა და სხვა პარტნიორებთან სხვა რიგ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სხვა გამოწვევებთან, მათ შორის კიბერუსაფრთხოებისა და ენერგოუსაფრთხოების სფეროში, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და მისი ტრანსპორტირების საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლას. ქვეყანაში რეგულარულად ტარდება კონფერენციები და სემინარები ექსპერტებისა და ოფიციალური პირების მონაწილეობით ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში მიღებული გამოცდილოებისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარების მიზნით, რათა ნათელი გახდეს, თუ როგორ უნდა იყოს გადაწყვეტილი უსაფრთხოების პრობლემები ოცდამეერთე საუკუნეში. 2011 წლის ივლისში ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნატო-ს პროგრამა მეცნიერება



ქართველი და ბულგარელი მაშველები მუშაობენ ერთ ჯგუფში, რომელიც პასუხისმგებელია აღჭურვილობაზე, რომელიც გამოიყენება დაკარგულთა ქებნის დროს. ფოტო გადაღუბულია სტიქიურ უბედურებებით ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილ სამხედრო წერთნებში ხორვატიაში 2007 წლის მაისში

ბიწისძრების ზემოქმედების შემცირება

კავკასიის რეგიონი ითვლება მაღალი სეისმური აქტივობის სახიფათო ზონად. ბოლო ათწლეულების მანძილზე რამდენიმე დამანგრეველმა მიწისძრამ, რომელთა სიმძლავრე 6,5-7 ბალს აღწევდა, დამანგრეველი შედეგები მოიტანა. ნატო-ს მიერ ორგანიზებული პროექტი ახორციელებს ისეთი ტიპის დამარტინას, რომლის მიზანია შეიქმნას პოტენციალი რათა განხორციელებულ იქნას საზღვრისპირი თანამშრომლობა სასქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რათა თანადგომა გაეწიოთ ამ ქვეყნებს და შემცირებულ იქნეს რეგიონში მიწისძრების შედეგები და ხელი შეეწყოს რეგიონში ძლიერი მიწისძრის დროს რეაგირების ჯგუფის შეუზღუდულ გადაადგილებას.

ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებული მძიმე შედეგების პარალელურდ, მიწისძრებს შეუძლიათ დაანგრიონ ეკონომიკური და სოციალური ინსტრასტრუქტურა. მიწისძრების დროს ადამიანთა მსხვერპლის შემცირება და ქონების განადგურებისაგან დაცვა სხვადასხვა ადგილებში მოთხოვეს იმის მკაფიო გააზრებას, რომ შესაბამისი მოსალოდნელი შედეგებისაგან თავდაცვის მიზნით უნდა გაძლიერებულ ან შექმნილ იქნეს სამედინ ინფრასტრუქტურა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2009 წლის მაისში განხორციელება დაიწყო სამწლიანმა პროექტმა, რომელიც ფინანსდება ნატო-ს პროგრამის მეცნიერება მშევარებებისა და უსაფრთხოებისათვეს ფარგლებში. პროგრამა, რომლის მიზანია სეისმური ხიფათისა და რისკების ანალიზი, მიზნად ისახავს საავარიონო სამაშველო გუნდების შექმნას. ექსპერტები ნატო-ს რვა წევრი ქვეყნებიდან და პარტნიორი ქვეყნებიდან, მონაწილეობას იღებენ ამ პროექტში.

მშვიდობისა და უსაფრთხოების ორგანიზებით. ეს გახლდათ პირველი მსგავსი ტიპის შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა საფრთხეებისა და გამოწვევების განხილვას.

სტიქიური უბედურებებისა და მათი რეაგირებებისადმი მზადება

საქართველო ასევე ახორციელებს მუშაობას მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ბუნებრივი ან ტექნოლოგიური კატასტროფების შემთხვევაში რეაგირებისათვის ზომების მიღების მიზნით. ამ კატასტროფებმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენონ ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებსაც კი. ამ კატასტროფების შედეგები ხშირად ცდება ერთი ქვეყნის საზღვრებს და ამიტომაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მთელი რეგიონების სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ამიტომაც პარტნიორული საქმიანობის განუყოფელ და არსებით ნაწილს ნარმოადგენს სტიქიურ უბედურებებზე რეაგირებისათვის თანამშრომლობა (ნატო-ს ფარგლებში ის იწოდება როგორც „სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვა“).

საქართველო ასევე ესწრაფვის განავითაროს ეროვნული სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების სტიქიურ უბედურებებთან საბრძოლველად არსებული პოტენციალი და თანამშრომლობს ნატო-სთან სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების პროცესში, მათ შორის ისეთი ღონისძიებების ფარგლებში, რომელსაც კოორდინაციას უწევს რეაგირების ევრო-ატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი (EADRCC). EADRCC შექმნილ იქნა 1998 წელს ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების ძალისხმევის შედეგად საგანგებო მდგომარეობის დროს შექმნილი კრიზისული სიტუაციების შედეგად გამოწვეული პრობლემების ლიკვიდაციის მიზნით. ცენტრმა დახმარება გაუწია საქართველოს ასობით ტონა ტვირთების გაგზავნაში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტების შემდეგ. ის ასევე კოორდინაციას უწევდა საქართველოსადმი დახმარებას 2005 წელს, როდესაც საქართველო შეეჯახა ქვეყნის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშინელ წყალდიდობას. ასევე ცენტრმა ოპერატორულად იმუშავა 2006 წელს, როდესაც სატყეო ხანძრებმა ითეთქა საქართველოს სამხრეთში და 2009 წელს ძლიერი მიწისძრის შემდეგ.

საქართველო რეგულარულად იღებს მონაწილეობას ნატო-ს წვრთნებში ნატო-ს წევრებსა და პარტნიორებთან ერთად, რომლებიც გვთავაზობენ მნიშვნელოვან შესაძლებლობას შეფასებულ იქნეს ქვეყნის პოტენციალი მოქმედებაში და განსაზღვრულ იქნეს თანამშრომლობის სფეროები მომავალში. ღრმა – ის საქმიანობის უმეტესობა, მათ შორის რიგი სწავლებები ინიცირებულ, ორგანიზებულ და ჩატარებულ იქნა პარტნიორი ქვეყნების ტერიტორიაზე, რაც განასახიერებს იმ მაღალ მნიშვნელობას, რომლის ფარგლებშიც პარტნიორები სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის პროცესში თანამშრომლობას

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს თანამშრომლობა წარმოადგენს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საქმიანობის ფარგლებში ყველაზე მსხვილ არასამხედრო ხასიათის საქმიანობას.

მეცნიერება და გარემოს დაცვა

საქართველოს მეცნიერებსა და მკვლევარებს შეუძლიათ ისარგებლონ ნატო-ს პროგრამა მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის პროგრამის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებით. პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ნდობას, ახალი ქსელების შექმნას და ნატო-სა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდას. საქმიანობა მხარს უჭერს ერთობლივი კვლევების განხორციელებას, სემინარების ჩატარებას, სიმპოზიუმებსა და ერთობლივ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, სამეცნიერო საკითხებთან და ეკოლოგიურ პრობლემებთან. ნატო-ს გააჩნია ორი ძირითადი პრიორიტეტი სამეცნიერო თანამშრომლობისათვის: ტერორიზმისაგან თავდაცვა და უსაფრთხოების სხვა საფრთხეებთან განმკლავება.

საქართველო ნატო-ს სამეცნიერო საქმიანობაში 1994 წლიდან მონაწილეობს. საერთო ჯამში, საქართველოდან წარმოდგენილმა მეცნიერებმა და ექსპერტებმა მთავარი როლი შეასრულეს 132 ღონისძიებაში და სხვადასხვა სხვა ღონისძიებებზე მოგვევლინენ მთავარ მონაწილეთა და მომხსენებელთა რანგში. პროგრამა მოიცავს საქმიანობის მრავალ სფეროს, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში რეფორმების ხელშეწყობისა და ურთიერთძალისხმევისაკენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კვლევები და ტექნოლოგიები რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებში და მონაცემთა სტანდარტიზაცია, ასევე გარემოზე ზემოქმედების შემცირება, სამხედრო საქმიანობა და საბრძოლო მასალების უტილიზაცია. აგრეთვე, სხვა პროექტები თავის თავში მოიცავს თანამშრომლობას წყლის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით და სა-საზღვრო ზოლში რისკების შემცირებას, ასევე ისეთ სფეროებს, რომლებიც დაკავშირებულია მინისტრებთან სამხრეთ კავკასიაში.

სამეცნიერო პროგრამა ასევე ესწრაფვის ხელი შეუწყოს და გააძლიეროს სამეცნიერო და აკადემიური პერსონალი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. საქართველომ მონაწილეობა მიიღო „აბრეშუმის გზის“ ვირტუალურ პროექტში, რომელმაც ხელი შეუწყო ინტერნეტისადმი ხელმისაწვდომობას კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და ავღანეთში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისათვის თანამგზავრული ქსელის შექმნის მეშვეობით. გარდა ამისა, ქსელური ინსტრასტრუქტურის გრანტებმა ხელი შეუწყეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, მიაწოდეს რა მათ აღჭურვილობა უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და სატელეკომუნიკაციო სამუალებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.



ნატო-ს კვირეულის ფოტო?

საქართველოს მოქალაქეები დაადგინდენ მხარს ქვეყნის მისწრაფებას გახდეს ალიანსის წევრი. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა მხარს უჭერს ქვეყნის შესვლას ალიანსში.

milestones

- 1992** წელს საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (ამ ინსტიტუტს სახელი გადაერქვა 1997 წელს და იგი გახდა ევროპატლანტიკური პარტნიორობის საბჭო)
- 1994** საქართველო შეუერთდა პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“
- 1995** საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას შეაიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (SOFA) რომელიც პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1997 წელს
- 1999** საქართველო შეუერთდა პარტნიორობა მშვიდობისათვის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს. საქართველოს სამშვიდობობი გაგზავნილ იქნენ კოსოვოში „ძალები კოსოვოსათვის“ შემადგენლობაში.
- 2001** გაიმართა სამხედრო წვრთნები „პარტნიორის თანამშრომლობისათვის“ 2002 საქართველო მიუერთდა ვიორტუალურ აბრეშუმის გზას.
- გაიმართა სამხედრო წვრთნები Cooperative Best Effort 2002.
- საქართველო აცხადებს თავისი მიზნის შესახებ გახდეს ნატო-ს წევრი
- 2003** დაიწყო მიზნობრივი ფონდის პროექტი რაკეტის მიწა-ჰაერის დემილიტარიზაციის შესახებ
- საქართველო მხარს უჭერს ავღანეთში ნატოს ხელმძღვანელობით უსაფრთხოების ძალებს
- 2004** სტამბულის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური კავშირის ხელმძღვანელები აცხადებენ პრიორიტეტულად თანამშრომლობას კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან.
- 2005** წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შესახებ.
- საქართველო ხელშეკრულებას ტრანზიტის შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების ძალებმა გაატარონ ტრანზიტული ტერიტორები ავღანეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით საქართველომ გახსნა საინფორმაციო ცენტრი ნატო-ს შესახებ.
- 2006** ნატო საქართველოს სთავაზობს ინტენსიურ დიალოგს საქართველოს ნატო-ს წევრობის სურვილის გათვალისწინებით
- 2007** საქართველო ატარებს საპარერო წვრთნებს Cooperative ARCHER 2007
- 2008** ბუქარესტში ჩრდილოატლანტიკური კავშირის ლიდერებმა მოილაპარაკეს, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი.
- მოკავშირებმა მოუწოდეს საქართველოსა და რუსეთს შორის საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებისაკენ, საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე. შექმნილ იქნა ნატო-საქართველოს კომისია.
- ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოილაპარაკეს ყოველწლიური ეროვნული პროგრამის დაწყების შესახებ ნატო-საქართველოს კომისიის ეგიდით.
- 2009** საქართველო ამუშავებს და ახდენს თავისი ყოველწლიური ეროვნული გეგმის პირველ ეტაპის რეალიზებას. დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სხვა ინსტიტუტების სამოქალაქო პერსონალის პროფესიული განვითარების პირველ გეგმა
- 2010** იწყება მიზნობრივი ფონდის პირველი პროექტის განხორციელება. მისი მიზანია აღმოჩენილ იქნეს დახმარება მის დროს დარჩენილი ფეთქებადი ნივთიერებების აღმოფხვრის საქმეში.
- საქართველომ ხელი მოაწერა შეთანხმებას შეიტანოს თავისი წვლილი ნატო-ს მიერ ხმელთაშუა ზღვაში განხორციელებულ კონტრტერორისტულ საქმიანობაში.
- ნატო-ს გენერალურმა მდივანმა თბილისში გახსნა ნატო-ს სამეცავშირეო ბიურო.
- 2010** ლისაბონში, ჩრდილოატლანტიკური აღმანისის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს თავიანთი დაპირება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი და კვლავ განაცხადეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთაშორისო აღმართებულ საზღვრები პატივისცემის შესახებ.
- ჩამოყალიბებულ იქნა სამხედრო კომიტეტის ყოველწლიური სამუშაო გეგმა
- 2011** ნატო-ს და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ხვდებიან ბერლინში ნატო-საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელები განხილავენ საქართველოს წვლილს იურაციებში ევროპაში ნატო-ს გაერთიანებული შტაბების უმაღლესი მთავარსარდალი ეწვია საქართველოს აგვისტოში ჩრდილოატლანტიკური საბჭო ვიზიტი საქართველოში 2011 წლის ნოემბერში

პუბლიკაციების შესაკვეთად გამოაგზავნეთ თქვენი ელ-ფოსტა ინგლისურად და ფრანგულად შემდეგ მისამართზე: publications@hq.nato.int

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდ: www.nato.int

ნატო უზრუნველყოფს ინფორმაციას აღმანისის პოლიტიკის და საქმიანობების სხვადასხვა მიმართულებებით შესახებ. ისინი გამოქვეყნებულია ნატო-ს გენერალური მდივნის თანხმიბის საფუძველზე და ყოველთვის არ გამოხატავენ აღასანისა და ნატო-ს წევრი ქვეყნების ოფიციალურ პიზიციას.

ნატო-ს სახალხო დიპლომატიის განყოფილება, 1110 ბრიუსელი, ბელგია. Web-გვერდ: www.nato.int

ელ-ფოსტა: publications@hq.nato.int NATO 2011